ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №359/01/9

**64100000** - საფოსტო და საკურიერო მომსახურებები

ქ.თბილისი 21 იანვარი 2013 წ.

ერთის მხრივ სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში "შემსყიდველი") მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბადრი ნიაურის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,საქართველოს ფოსტა" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენარალური დირექტორის ლევან ჩიკვაიძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 3[1] პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის, სააგენტოს დირექტორის მოადგილის N9055 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1 საფოსტო გზავნილი – წერილი/პაკეტი/ამანათი.

1.2 წერილი/პაკეტი - შემსყიდველის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილია საფოსტო მომსახურების განხორციელების გზით ერთი კონკრეტული ადრესატისათვის ერთ კონკრეტულ მისამართზე მისატანად/ჩასაბარებლად.

1. 3. შეკვეთილი / რეგისტრირებული საფოსტო გზავნილი – გზავნილი, რომელთა მიღებაზე გამგზავნს ეძლევა შესაბამისი დოკუმენტი, რეგისტრირდება საფოსტო განყოფილებაში და მიმღებს ბარდება ხელმოწერით.

1.4. ამანათი - საფოსტო გზავნილის სახეობა, რომლის შიგთავსის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და მსოფლიო საფოსტო კავშირის ნორმატიულ აქტებს. ამანათის წონა და ზომები განისაზღვრება მსოფლიო საფოსტო კავშირის წესებით;

1.5. ადრესატი – პირი რომელზეც დამისამართებულია შემსყიდველის გზავნილი;

1.6. საფოსტო მომსახურება - მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით მე-3 მუხლით დადგენილი წესით შემსყიდველისაგან საფოსტო გზავნილის მიღება და ადრესატისათვის შემსყიდველისაგან მითითებულ მისამართზე მიტანა/ჩაბარება.

1.7. სასწრაფო – საფოსტო გზავნილი ჩაითვლება სასწრაფოდ, თუ მიმწოდებელი შემსყიდველის მოითხოვნის საფუძველზე საფოსტო მოსახურების ანხორციელებს არასამუშაო დღეს, ან/და ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტისაგან განსხვავებულ დროს, ან/და საფოსტო მომსახურების გაწევაზე ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვადაზე შემჭიდროვებულ ვადაში, ან/და ერთ დღეს ერთი და იგივე გზავნილის მითითებულ მისამართზე განმეორებით მისვლით.

1.8. მიღების ადგილი – ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შემსყიდველის მისამართია სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, საიდანაც ხორციელდება საფოსტო გზავნილების შეგროვება და მიმწოდებლისათვის გადაცემა.

1.9. მიტანის ადგილი/მისამართი - შემსყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ადრესატის მისამართის/ადგილმდებარეობიდ შესახებ, სადაც მიმწოდებელმა შმსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უნდა მიიტანოს/ჩააბაროს საფოსტო გზავნილი.

1.10. სამუშაო დღე – ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის სამუშაო დღეებად განისაზღვრება: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი (საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე და დასვენების დღეების გარდა).

1.11. ადმინისტრაციული ერთეული – საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადმინისტრაციული ერთეული, ქალაქი, დაბა, სოფელი, დასახლებული პუნქტი.

1.12. საიდუმლო გზავნილი - „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციის შემცველი გზავნილი, რომელზეც კეთდება შესაბამისი „საიდუმლო გრიფის" აღნიშვნა.

1.13. "საიდუმლოების გრიფი" - რეკვიზიტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით საფოსტო მომსახურების გაწევა ქვეყნის შიგნით (ყველა ტიპის-ჩვეულებრივი, სასწრაფო, საიდუმლო და გზავნილი "გრიფით საიდუმლო") და საზღვარგარეთის ქვეყნებში (ჩვეულებრივი ავია და დაჩქარებული ფოსტა EMS), აგრეთვე საფოსტო მომსახურების გაწევისათვის შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ღირებულების გადახდა თანდართული ტარიფების შესაბამისად.

2.1.1 ქვეყნის შიგნით წერილობითი კორესპოდენციისა და ამანათების საფოსტო მომსახურება - დანართი:*№1; 3*

2.1.2 საერთაშორისო საფოსტო მომსახურება - (ჩვეულრებრივი ავია და დაჩქარებული EMS-ით) დანართი *№4;5;6*

2.1.3 საფელდეგერო (გრიფით საიდუმლო გზავნილი -საიდუმლო, სრულიად საიდუმლო, განსაკუთრებული მნიშვნელობის საიდუმლო) მომსახურება - დანართი *№* 2.

მუხლი 3. საფოსტო მომსახურების გაწევისა და მიმწოდებლის მიერ საფოსტო გზავნილის მიტანის/ჩაბარების პირობები

3.1. საფოსტო მომსახურების მისაღებად შემსყიდველი მატერიალური დოკუმენტის ან ელექტრონული სისტემის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა მიმწოდებლის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას, ატყობინებს მიმწოდებელს საფოსტო მომსახურების მიღების სურვილის თაობაზე. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საფოსტო გზავნილში

3.1.1 შემავალი პაკეტების რაოდენობაზე;

3.1.2 საფოსტო მომსახურების მიღების რეჟიმის (ჩვეულებრივი ან სასწრაფო) თაობაზე;

3.2 შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, მიმწოდებელი ვალდებულია გამოცხადდეს საფოსტო გზავნილის მიღების ადგილზე და უზრუნველყოს შემსყიდველისაგან საფოსტო გზავნილის წამოღება. სასწრაფო გზავნილის მისაღებად მიმწოდებელი საფოსტო გზავნილის მიღების ადგილზე ცხადდება შემსყიდველთან შეთანხმებული ვადის განმავლობაში.

3.3 შემსყიდველი ვალდებულია ამ მუხლის 3.2 პუნქტით განსაზღვრული წესით მიმწოდებლის გამოცხადებამდე უზრუნველყოს საფოსტო გაზვნილის დახარისხება და გასაგზავნად მომზადება, რათა არ მოხდეს მიმწოდებლის შეფერხება. გზავნილში თითოეული პაკეტი უნდა იქნეს ერთიმეორისაგან გამიჯნული, ამასთან ერთ პაკეტი შეიძლება დამისამართებული იქნეს მხოლოდ ერთ ადრესატზე, ერთ მისამართზე წასაღებად;

3.4 საფოსტო მომსახურების მიღების მიზნით შემსყიდველის მიერ საფოსტო გზავნილის მიმწოდებლისათვის გადაცემა ხორციელდება შესაბამისი რეესტრის საფუძველზე, რომელშიც თითოეული პაკეტის შესახებ მითითება:

3.4.1 მიტანის ადგილი (სრული მისამართის მითითებით), ადრესატის სახელი, გვარი, სახელწოდება, ხოლო, თუ მიტანის ადგილად განსაზღვრულია სოფლის ტიპის დასახლება სავალდებულოა მიეთითოს პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო კოდი.

3.4.2 საფოსტო მომსახურების მიღების რეჟიმი (ჩვეულებრივი ან სასწრაფო).

3.5 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან გზავნილის მიღების შემთხვევაში, იგი ვალდებულია მიტანის ადგილზე გზავნილის პირველი მიტანა განახორციელოს:

3.5.1 ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, თუ საფოსტო გზავნილის მიღების და მიტანის ადგილი ერთი და იმავე ტერიტორიულ ერთეულიშია (სასწრაფოს გარდა);

3.5.2 2-დან არაუმეტეს 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში, თუ საფოსტო გზავნილის მიღების ან/და მიტანის ადგილი სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშია (სასწრაფოს გარდა).

3.5.3 სამი საათის განმავლობაში, თუ სასწრაფო საფოსტო გზავნილის მიღების და მიტანის ადგილი ერთი და იმავე ტერიტორიულ ერთეულშია;

3.5.4. ერთიდან არაუმეტეს ორი სამუშაო დღის განმავლობაში, თუ სასწრაფო საფოსტო გზავნილის მიღების ან/და მიტანის ადგილი სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშია;

3.6 ამ მუხლის 3.5 პუნქტით განსაზღვრული მიტანის/ჩაბარების დღის ვადა აითვლება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან გზავნილის მიღების მომდევნო სამუშაო დღიდან.

3.7 მიმწოდებლის საფოსტო მომსახურების გაწევისას ხელმძღვანელობს შემდეგი წესით:

3.7.1 მიმწოდებელმა ადრესატს გზავნილი უნდა ჩააბაროს პირადად, ხოლო ადრესატის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის დამისამართებული გზავნილი უნდა ჩაბარდეს კანცელარიას, ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ან/და ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უზრუნველყოფს გზავნილს ადრესატისთვის გადაცემას. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გზავნილის ჩაბარება უნდა დასტურდებოდეს ელექტრონულ, ან მატერიალურ დოკუმენტზე ადრესატის/მიმღების ხელმოწერით.

3.7.2 თუ ადრესატმა უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე, მიმწოდებელი ზეპირად განუმარტავს მას იმის თაობაზე, რომ უარის განცხადების შემთხვევაში, გზავნილი შეიძლება მიჩნეული იქნეს ჩაბარებულად. ამ პუნქტით განთვალისწინებულ შემთხვევებში ადრესატის მიერ გზავნილის არ მიღების თაობაზე, მიმწოდებელი ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტზე აკათებს შესაბამის აღნიშვანას, ხოლო გზავნილს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უბრუნებს შემსყიდველს.

3.7.3 თუ მიმწოდებელმა ადრესატი, მისი დროებით არ ყოფნის გამო, ვერ ნახა შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე (მიტანის ადგილზე), იგი გზავნილს აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს (დედას, მამას, ძმას, შვილს, მამიდას და ა.შ). ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გზავნილის მიმღები ელექტრონულ ან მატერიალურ სახის დოკუმენტზე აღნიშნავს თავის სახელს და გვარს, ადრესატთან დამოკიდებულებას და აკეთებს ხელმოწერას .

3.7.4 თუ ამ მუხლის 3.7.3 პუნქტით განსაზღვრულმა სუბიექტმა უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე, მიმწოდებელი დამატებით იღებს ვალდებულებას, პირველი ვიზიტიდან 3 (სამუშაო) დღის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ მაინც განახორციელოს მიტანის ადგილზე გზავნილის განმეორებით მიტანა და თუ კვლავ ოჯახის იმავე ან სხვა სრულწლოვანმა წევრმა უარი განაცხადა გზავნილის მიღებაზე, მიმწოდებელი ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტზე აკეთებს შესაბამის აღნიშვანას, ხოლო გზავნილს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უბრუნებს შემსყიდველს.

3.7.5 თუ გზავნილის მიტანის ადგილზე მიმწოდებლის მისვლის დროს ადრესატი ან ამ მუხლის 3.7.3 პუნქტით განსაზღვრული სუბიექტი არ იმყოფება (სახლში არ არიან, კარი არ გაუღეს, სხვაგან გაემგზავრენ და ა.შ), მიმწოდებელი დამატებით იღებს ვალდებულებას, პირველი ვიზიტიდან 3 (სამუშაო) დღის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ მაინც განახორციელოს მიტანის ადგილზე გზავნილის განმეორებით მიტანა და თუ კვლავ ვერ მოხერხდა მისი ჩაბარება, გზავნილი შესაბამისი აღნიშვნით დაუბრუნოს შემსყიდველს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.7.6. თუ შემსყიდველის მიერ მითითებული მიტანის ადგილი არაზუსტი ან არასრულყოფილია, აგრეთვე თუ ადრესატი აღნიშნულ მისამართზე აღარ ცხოვრობს, მიმწოდებელი ელექტრონული ან მატერიალური დოკუმენტზე აკათებს შესაბამის აღნიშვანას, ხოლო გზავნილს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უბრუნებს შემსყიდველს.

3.7.7. თუ მიმწოდებელს მომსახურების გაწევამდე შეუძლია განსაზღვა, რომ შემსყიდველის მიერ მითითებული ადრესატის ან მიტანის ადგილის შესახებ მონაცები არასრულყოფილი ან უზუსტოა, მიმწოდებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს საფოსტო მომსახურების განხორცილებებზე.

3.7.8. მიმწოდებელი ვალდებულია გზავნილი ადრესატს ან ამ მუხლით განსაზღვრულ სხვა მიმღებს, ჩაბაროს, მხოლოდ მათ მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ. გარემოება, როცა ადრესატი ან სხვა მიმღები პირი უარი აცხადებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენაზე, უთანაბრდება ამ მუხლის 3.7.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

3.7.8. ამ მუხლით გათვალისწინებული სუბიექტების ხელმოწერები, ან/და აღნიშვნები, შეტყობინებები ან სხვა სახის ინფორმაციები შეიძლება შესრულდეს მატერიალური ან ელექტრონული სახით ან/და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველზე გაწეული საფოსტო მომსახურების კონკრეტული სახეობებისა და რაოდენობის მიხედვით ხელშეკრულებაზე თანდართული ტარიფების შესაბამისად.

4.2 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის საფოსტო მომსახურებისათვის ამ მუხლის 4.1 პუნქტით განსაზღვრული ღირებულების გადახდა წარმოებს ყოველი თვის ბოლოს, საანგარიშო თვეში ფაქტობრივად განხორციელებული საფოსტო მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარს.

4.4. სასწრაფო გზავნილის შემთხვევაში გზავნილის ღირებულება დაანგარიშდება ჩვეულებრივი გზავნილის ღირებულების სამმაგი ოდენობით.

4.5. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი (დღგ-ს ჩათვლით), გადახდის ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

მუხლი 5. მიმწოდებლის უფლებები და ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები;

5.1.2. უზრუნველყოს ჯეროვანი საფოსტო მომსახურების გაწევა;

5.1.3. მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს შემსყიდველს ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესახებ წერილობითი ინფორმაცია.

5.1.4 საფოსტო მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, აცნობოს შემსყიდველს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძველი.

5.1.5. შემსყიდველის მიერ მომსახურების შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში განახორციელოს საფოსტო მომსახურება.

5.1.6. აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან არ შესრულების გამო მიყენებული ზიანი;

5.1.7. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

5.1.8. ხელი შეუწყოს შემსყიდველს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

5.2. მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

5.2.2. მოთხოვოს შემსყიდველს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან არ შესრულების გამო მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

5.2.3. არ განახორციელოს საფოსტო გზავნილის მიღება ან/და საფოსტო მომსახურების გაწევა, თუ შემსყიდველს გააჩნია დავალიანება მის მიმართ ან საფოსტო გზავნილი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს..

5.2.4. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით მოითხოვოს გაწეული საფოსტო მომსახურების ღირებულების დროული გადახდა.

5.2.5 . იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.

5.2.6. კანონმდებლობით ან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას, ან შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებითა ან/და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე.

5.2.7. მოთხოვოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.

5.2.8. მოახდინოს გადარიცხული თანხების ინსპექტირება.

5.2.9. უარი განაცხადოს საფოსტო მომსახურების გაწევაზე ან/და გზავნილის მიღებაზე, თუ ერთი პაკეტი დამისამართებულია სხვადასხვა ადრესატზე ან სხვადასხვა მიტანის ადგილზე ან გზავნილში პაკეტები ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ან გზავნილი (პაკეტი) არ აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა პირობებს;

5.2.10. უარი განაცხადოს კონკრეტული სასწრაფო გზავნილის წაღებაზე, თუ მომსახურების გაწევაზე, ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელია;

5.2.11. შემსყიდველთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით;

მუხლი 6. შემსყიდველის უფლებები და ვალდებულებები

6.1 შემსყიდველი ვალდებულია:

6.1.1. საფოსტო გზავნილის მისაღებად დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში შემსრულებლის წარმომადგენლები, ან გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი საშვი.

6.1.2. მკაცრად დაიცვას გზავნილების გაფორმების, მომზადებისა და შემსრულებლისათვის მათი გაცემის წესი.

6.1.3. მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ.

6.1.4. ხელი შეუწყოს მიმწოდებელს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებაში.

6.1.5. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით განახორციელოს საფოსტო მომსახურებისათვის შესაბამისი ღირებულების გადახდა.

6.1.7. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან არ შესრულების გამო მიყენებული ზიანი;

6.1.8. თავის უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრულად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.2.1. მოსთხოვოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მისზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

6.2.2. იდავოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია.

6.2.3 მოითხოვოს გაწეული საფოსტო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის ქსერო ასლები.

6.2.4 მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ სრული ინფორმაცია.

6.2.5. რეგისტრირებულ გზავნილებებზე პრეტენზიები განიხილება გაგზავნიდან მხოლოდ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

6.2.6. მოახდინოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება.

6.2.7. მიმწოდებელთან ურთიერთობებში ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

6.2.8. მოთხოვოს მიმწოდებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან არ შესრულების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

7. მხარეთა პასუხისმგებლობა და დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და სრულად, ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასა და არაჯეროვნად შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.5. „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ და რომელთა გათვალისწინება მხარეებს არ შეეძლოთ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს, ასევე რომელთა

დადგომა, ზემოქმედების თავიდან აცილება დაგადალახვა მხარეებს არ ხელეწიფებოდათ, კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ემბარგო, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები.

7.5. ამ მუხლის 7.4. პუნქტით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოქმედების მთელ პერიოდში, მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, მაქსიმალურად შეამცირონ ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეფერხებულია ვალდებულებ(ებ)ის შესრულება.

7.6. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის გარემოებაზე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომლებშიც მას ხელი შეუშალეს დაუძლეველი ძალით გამოწვეულმა გარემოებებმა. ამასთან, იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების იმ სხვა ვალდებულებათა შესრულებისგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები.

7.7. მხარე, რომლისთვისაც დაუძლეველი ძალის დადგომის გამო ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

7.8. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.

7.9. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდა ათ) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 8. დავის გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეები ადგენენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია განხილული უნდა იქნეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, მხარის მიერ პრეტენზიის წერილობითი ფორმით მიღების დღიდან.

8.2. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მაშინ მხარეთა შორის დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

## 9. ხელშეკრულების ვადა და მოშლა

9.1. წინამდებარე ხელშეკრუკლება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ერთ წლის ვადით, 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება კიდევ ერთი წლით, თუ მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე, არც ერთი მხარე წერილობით არ განუცხადებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნული ფორმით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება ყოველჯერზე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება მოიშალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

9.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს ცალმხრივად, წინასწარი არანაკლებ 15 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მხარეებმა უნდა გაასწორონ ანგარიში.

9.4. თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ამ მუხლით გათვალისწინებული წესის დაუცველად თუ მეორე მხარე არღვევს დაკისრებულ მოვალეობებს და შესაბამისმა მხარემ განუსაზღვრა მას გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო დამრღვევმა მხარემ ვერ უზრუნველყო დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორება.

## 10.დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, საფოსტო მომსახურების ღირებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

10.4. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე 10.6. არსებული ყველა ზეპირი მოლაპარაკება ან/და წერილობითი შეთანხმება, ან მათი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.

10.6. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულებისათვის, მხარეებმა შეიძლება დანიშნონ თავიანთ წარმომადგენლები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტას.

10.7. მხარეები ვალდებულნი არიან იხმარონ ყველა ღონე, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.

10.8. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი ბადრი ნიაური

______________________
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „საქართველოს ფოსტა", მისამართი: 0100 თბილისი, ვაგზლის მოედანი 2, ტ. 91 06 54, ს/კ 203836233, ს.ს. „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი:LBRTGE22, ა/აა/ა*GE88LB0113194522215000*

გენარალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე

______________________
(ხელმოწერა)

ვიზირების ფურცელი:

თარიღი: 21 ოქტომბერი 2013 წელი

ბადრი ნიაური (დირექტორის მოადგილე) __________________

იაკობ ღლონტი

(იურიდიული სამსახურის უფროსი) __________________

ვასილ მარდალეიშვილი

(საფინანსო და საბუღალტრო სამსახურის უფროსის მ/შ) __________________

მურთაზ სიჭინავა

(შესყიდვების სამსახურის უფროსი) __________________

დანართი №1

# ტ ა რ ი ფ ე ბ ი

## ქვეყნის შიგნით წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნაზე გზავნილის წონის და დანიშნულების ადგილის მიხედვით

(ლარი - დღგ-ს ჩათვლით)

| № | გზავნილის წონა | გზავნილის ერთი და იგივე ტერიტორიულ ერთეულში ჩაბარება | გზავნილის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ჩაბარება |
|---|---|---|---|
| | | შეკვეთილი წერილი | |
| 1 | 50 გრ-მდე | 1.20 | 1.50 |
| 2 | 100 გრ-მდე | 1.50 | 1.80 |
| 3 | 150 გრ-მდე | 1.80 | 2.10 |
| 4 | 200 გრ-მდე | 2.10 | 2.40 |
| 5 | 300 გრ-მდე | 2.40 | 2.70 |
| 6 | 400 გრ-მდე | 2.70 | 3.00 |
| 7 | 500 გრ-მდე | 3.00 | 3.30 |
| 8 | 600 გრ-მდე | 3.30 | 3.60 |
| 9 | 700 გრ-მდე | 3.60 | 3.90 |
| 10 | 800 გრ-მდე | 3.90 | 4.20 |
| 11 | 900 გრ-მდე | 4.20 | 4.50 |
| 12 | 1000 გრ-მდე | 4.50 | 4.80 |
| 13 | 2 კგ-მდე | 4.80 | 5.10 |

შენიშვნა:

1. წერილობითი კორესპონდენციის მაქსიმალურ წონად განისაზღვრება 2 კგ, გარდა გამონაკლისისა (სასამართლო საქმე, ბრაილის შრიფტი), ურღვევი კორესპონდენციის შემთხვევაში 2 კგ-ზე ზემოთ წონის კორესპონდენციაზე ტარიფი განისაზღვრება ყოველ დამატებით 100გრ-ზე 0.50 ლარის ოდენობით.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

დანართი 2

## ტარიფები

ქვეყნის შიგნით საფელდეგერო (გრიფით საიდუმლო გზავნილი - საიდუმლო, სრულიად საიდუმლო, განსაკუთრეული მნიშვნელობის) მომსახურებაზე გზავნილის წონისა და დანიშნულების ადგილის მიხედვით

(ლარი - დღგ-ს ჩათვლით)

| № | გზავნილის წონა | გზავნილის ერთი და იგივე ტერიტორიულ ერთეულში ჩაბარება | გზავნილის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ჩაბარებისას |
|---|---|---|---|
| | | საფელდეგერო | საფელდეგერო |
| 1 | 50 გრ-მდე | 1.80 | 2.10 |
| 2 | 100 გრ-მდე | 2.10 | 2.40 |
| 3 | 150 გრ-მდე | 2.40 | 3.10 |
| 4 | 200 გრ-მდე | 2.70 | 3.40 |
| 5 | 300 გრ-მდე | 3.00 | 4.10 |
| 6 | 400 გრ-მდე | 3.30 | 4.40 |
| 7 | 500 გრ-მდე | 3.60 | 5.10 |
| 8 | 600 გრ-მდე | 3.90 | 5.40 |
| 9 | 700 გრ-მდე | 4.20 | 6.10 |
| 10 | 800 გრ-მდე | 4.50 | 6.40 |
| 11 | 900 გრ-მდე | 4.80 | 7.10 |
| 12 | 1000 გრ-მდე | 5.10 | 7.40 |
| 13 | 2 კგ-მდე | 5.40 | 8.10 |

შენიშვნა:

1. წერილობითი კორესპონდენციის მაქსიმალურ წონად განისაზღვრება 2 კგ, გარდა გამონაკლისისა (სასამართლო საქმე, ბრაილის შრიფტი), ურღვევი კორესპონდენციის შემთხვევაში 2 კგ-ზე ზემოთ წონის კორესპონდენციაზე ტარიფი განისაზღვრება ყოველ დამატებით 100გრ-ზე 0.50 ლარის ოდენობით.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

დანართი: 3

# ტ ა რ ი ფ ე ბ ი

ქვეყნის შიგნით მცირე პაკეტებისა და ამანათების გაგზავნაზე წონისა და

დანიშნულების ადგილის მიხედვით

(ლარი დღგ-ს ჩათვლით)

| № | გზავნილის სახე | ფასი |
|---|---|---|
| 1 | მცირე პაკეტი | 6.00 |
| 2 | ამანათი | 10.00 |

შენიშვნა:

მცირე პაკეტი - საფოსტო გზავნილი რომლის წონაც შეადგენს არაუმეტეს - 4 კგ-ს;

ამანათი - საფოსტო გზავნილი, რომლის წონაც შეადგენს არაუმეტეს - 30 კგ-ს.

,,შემსყიდველი"

,,მიმწოდებელი"

დანართი:4

# ტ ა რ ი ფ ე ბ ი

## საქართველოსდან საზღვარგარეთის ქვეყნებში საერთაშორისო დაჩქარებული ფოსტას (EMS) წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნაზე წონისა და ზონების მიხედვით

| წერილობითი კორესპოდენცია (EMS) | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წონა (კგ) | I ზონა | II ზონა | III ზონა | IV ზონა | V ზონა | VI ზონა | ყოველ დამატებით 0,5კგ |
| 0.5-მდე | 48,00 | 63,00 | 66,00 | 69,00 | 75,00 | 81,00 | + 4,50 |
| 0.5- ის ზევით 1.0-მდე | 55,50 | 75,00 | 78,00 | 82,50 | 90,00 | 97,50 | + 7,50 |
| 1.0- ის ზევით 1.5-მდე | 63,00 | 87,00 | 90,00 | 96,00 | 105,00 | 114,00 | + 9,00 |
| 1.5- ის ზევით 2.0-მდე | 70,50 | 99,00 | 102,00 | 109,50 | 120,00 | 130,50 | + 10,50 |
| 2.0- ის ზევით 2.5-მდე | 76,50 | 109,50 | 112,50 | 120,00 | 133,50 | 145,50 | + 12,00 |
| 2.5- ის ზევით 3.0-მდე | 82,50 | 120,00 | 123,00 | 130,50 | 147,00 | 160,50 | + 13,50 |

❖ წერილობითი კორესპონდენციის მაქსიმალური წონითი ზღვარი - 5 კგ
(ურღვევი დოკუმენტაცია, სასამართლო წარმოების კორესპონდენცია, წიგნი, ბრაილის შრიფტი და ანალოგიური დოკუმენტები)

| ამანათები (EMS) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წონა (კგ) მაქსიმალური წონა 31 კგ | I ზონა | II ზონა | III ზონა | IV ზონა | V ზონა | VI ზონა |
| 0.5 | 68.25 | 80.90 | 97.85 | 106.05 | 118.5 | 126.65 |
| 1.0 | 82.75 | 103.45 | 118.75 | 131.80 | 144.25 | 154.05 |
| 1.5 | 90.00 | 114.75 | 129.20 | 144.60 | 157.15 | 166.75 |
| 2.0 | 97.25 | 126.05 | 139.65 | 157.55 | 170.00 | 181.45 |
| 2.5 | 103.70 | 134.80 | 150.10 | 170.40 | 184.45 | 197.55 |
| 3.0 | 110.15 | 143.70 | 160.60 | 183.30 | 198.95 | 213.65 |
| 3.5 | 116.55 | 152.55 | 171.00 | 196.15 | 213.45 | 229.75 |
| 4.0 | 123.00 | 161.45 | 181.55 | 209.05 | 227.95 | 245.85 |
| 4.5 | 129.45 | 170.30 | 192.00 | 221.95 | 242.45 | 261.95 |
| 5.0 | 135.90 | 179.15 | 202.45 | 234.85 | 256.95 | 278.05 |
| 5.5 | 143.95 | 189.60 | 214.50 | 249.30 | 272.20 | 294.95 |
| 6.0 | 152.00 | 200.05 | 226.60 | 263.80 | 287.50 | 311.85 |
| 6.5 | 158.40 | 208.90 | 237.00 | 276.65 | 302.00 | 327.95 |
| 7.0 | 164.85 | 217.80 | 247.55 | 289.55 | 316.50 | 344.05 |
| 7.5 | 170.50 | 225.85 | 257.2 | 301.30 | 330.15 | 359.35 |
| 8.0 | 176.15 | 233.90 | 266.85 | 313.10 | 343.85 | 374.65 |
| 8.5 | 181.75 | 241.95 | 276.5 | 325.45 | 357.55 | 390.10 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9.0 | 187.40 | 250.00 | 286.2 | 337.85 | 371.25 | 405.50 |
| 9.5 | 193.05 | 258.05 | 295.85 | 349.90 | 384.90 | 420.65 |
| 10.0 | 198.70 | 266.10 | 305.5 | 362.00 | 398.60 | 435.80 |
| 10.5 | 205.90 | 275.75 | 316.7 | 375.70 | 413.00 | 451.10 |
| 11.0 | 213.15 | 285.40 | 328.05 | 389.40 | 427.57 | 466.40 |
| 11.5 | 218.80 | 293.45 | 337.7 | 401.45 | 441.25 | 481.70 |
| 12.0 | 224.45 | 301.50 | 347.35 | 413.55 | 454.95 | 497.00 |
| 12.5 | 230.05 | 309.55 | 357.00 | 425.60 | 468.65 | 512.30 |
| 13.0 | 235.70 | 317.60 | 366.7 | 437.70 | 482.35 | 527.60 |
| 13.5 | 241.35 | 325.65 | 376.35 | 449.70 | 496.00 | 542.30 |
| 14.0 | 247.00 | 333.70 | 386.00 | 461.85 | 509.70 | 558.15 |
| 14.5 | 251.00 | 340.15 | 394.05 | 472.30 | 521.70 | 571.80 |
| 15.0 | 255.05 | 346.60 | 402.1 | 482.75 | 533.85 | 585.55 |
| 15.5 | 257.45 | 351.00 | 373.90 | 491.60 | 545.10 | 599.85 |
| 16.0 | 259.85 | 356.22 | 415.00 | 500.50 | 556.40 | 612.90 |
| 16.5 | 263.80 | 362.80 | 423.05 | 510.95 | 568.40 | 626.20 |
| 17.0 | 267.90 | 369.50 | 431.1 | 521.40 | 580.55 | 640.30 |
| 17.5 | 271.90 | 375.40 | 439.15 | 531.85 | 592.60 | 653.60 |
| 18.0 | 275.95 | 382.00 | 447.20 | 542.35 | 604.70 | 667.65 |
| 18.5 | 279.95 | 388.45 | 455.25 | 552.80 | 616.70 | 681.30 |
| 19.0 | 284.00 | 394.90 | 463.30 | 563.25 | 628.85 | 695.00 |
| 19.5 | 288.00 | 401.30 | 471.35 | 573.70 | 640.90 | 708.70 |
| 20.0 | 292.05 | 407.75 | 479.40 | 584.20 | 653.00 | 722.40 |
| 20.5 | 296.20 | 414.10 | 487.35 | 594.50 | 666.50 | 735.40 |
| 21.0 | 300.20 | 426.95 | 495.40 | 604.95 | 678.50 | 749.10 |
| 21.5 | 304.25 | 439.80 | 503.45 | 615.40 | 690.65 | 762.70 |
| 22.0 | 308.20 | 452.65 | 511.50 | 625.85 | 702.70 | 776.45 |
| 22.5 | 312.30 | 465.50 | 519.55 | 634.70 | 714.80 | 790.15 |
| 23.0 | 316.30 | 478.35 | 527.60 | 645.20 | 726.80 | 803.85 |
| 23.5 | 320.35 | 491.20 | 535.65 | 655.65 | 738.95 | 817.50 |
| 24.0 | 324.30 | 504.00 | 543.70 | 666.10 | 751.00 | 831.20 |
| 24.5 | 328.40 | 516.90 | 545.75 | 676.55 | 763.10 | 844.90 |
| 25.0 | 332.45 | 529.75 | 559.80 | 687.00 | 775.10 | 858.50 |
| 25.5 | 336.45 | 542.60 | 567.85 | 697.50 | 787.25 | 872.20 |
| 26.0 | 340.45 | 555.45 | 575.90 | 707.90 | 799.30 | 885.95 |
| 26.5 | 344.50 | 568.30 | 583.95 | 718.35 | 811.40 | 899.95 |
| 27.0 | 348.50 | 581.15 | 592.00 | 728.80 | 823.45 | 913.30 |
| 27.5 | 352.55 | 594.00 | 600.05 | 739.25 | 835.55 | 927.00 |
| 28.0 | 356.50 | 606.85 | 608.10 | 749.70 | 847.60 | 940.70 |
| 28.5 | 360.60 | 619.70 | 616.15 | 760.20 | 859.70 | 954.40 |
| 29.0 | 364.60 | 632.55 | 624.20 | 770.67 | 871.70 | 968.00 |
| 29.5 | 368.65 | 645.40 | 632.25 | 781.15 | 883.85 | 981.70 |
| 30.0 | 372.65 | 658.25 | 640.30 | 791.60 | 895.90 | 995.40 |
| 30.5 | 376.70 | 671.10 | 648.35 | 802.10 | 908.20 | 1009.15 |
| 31.0 | 380.70 | 683.95 | 654.80 | 773.70 | 921.40 | 1023.55 |

❖ დაზღვეულ ამანათზე დამატებით აიღება სადაზღვევო პრემიის 10%

ა

ერთაშორისო დაჩქარებული ფოსტის (EMS) გზავნილების საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩაბარების ვადები განისაზღვრება 3-10 სამუშაო დღის შესაბამისად.

"შემსყიდველი" "მიმწოდებელი"

დანართი 5

# ტ ა რ ი ფ ე ბ ი

საქართველოდან საზღვარგარეთის ქვეყნებში საფოსტო ამანათების გადაგზავნაზე ზონების მიხედვით (ლარებში, დღგ ჩათვლით)

| წონა (კგ) | I ზონა | II ზონა | III ზონა | IV ზონა | V ზონა | VI ზონა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს ა ჰ ა ე რ ო ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი თ | | | | | | |
| 0.5 | 40.25 | 49.9 | 62.85 | 66.05 | 72.5 | 75.65 |
| 1 | 54.75 | 72.45 | 83.75 | 91.8 | 98.25 | 103.05 |
| 1.5 | 62 | 83.75 | 94.2 | 104.6 | 111.15 | 115.75 |
| 2 | 69.25 | 95.05 | 104.65 | 117.55 | 124 | 130.45 |
| 2.5 | 75.7 | 103.8 | 115.1 | 130.4 | 138.45 | 146.55 |
| 3 | 82.15 | 112.7 | 125.6 | 143.3 | 152.95 | 162.65 |
| 3.5 | 88.55 | 121.55 | 136 | 156.15 | 167.45 | 178.75 |
| 4 | 95 | 130.45 | 146.55 | 169.05 | 181.95 | 194.85 |
| 4.5 | 101.45 | 139.3 | 157 | 181.95 | 196.45 | 210.95 |
| 5 | 107.9 | 148.15 | 167.45 | 194.85 | 210.95 | 227.05 |
| 5.5 | 115.95 | 158.6 | 179.5 | 209.3 | 226.2 | 243.95 |
| 6 | 124 | 169.05 | 191.6 | 223.8 | 241.5 | 260.85 |
| 6.5 | 130.4 | 177.9 | 202 | 236.65 | 256 | 276.95 |
| 7 | 136.85 | 186.8 | 212.55 | 249.55 | 270.5 | 293.05 |
| 7.5 | 142.5 | 194.85 | 222.2 | 261.3 | 284.15 | 308.35 |
| 8 | 148.15 | 202.9 | 231.85 | 273.1 | 297.85 | 323.65 |
| 8.5 | 153.75 | 210.95 | 241.5 | 285.45 | 311.55 | 339.1 |
| 9 | 159.4 | 219 | 251.2 | 297.85 | 325.25 | 354.5 |
| 9.5 | 165.05 | 227.05 | 260.85 | 309.9 | 338.9 | 369.65 |
| 10 | 170.7 | 235.1 | 270.5 | 322 | 352.6 | 384.8 |
| 10.5 | 177.9 | 244.75 | 281.7 | 335.7 | 367 | 400.1 |
| 11 | 185.15 | 254.4 | 293.05 | 349.4 | 381.57 | 415.4 |
| 11.5 | 190.8 | 262.45 | 302.7 | 361.45 | 395.25 | 430.7 |
| 12 | 196.45 | 270.5 | 312.35 | 373.55 | 408.95 | 446 |
| 12.5 | 202.05 | 278.55 | 322 | 385.6 | 422.65 | 461.3 |
| 13 | 207.7 | 286.6 | 331.7 | 397.7 | 436.35 | 476.6 |
| 13.5 | 213.35 | 294.65 | 341.35 | 409.7 | 450 | 491.3 |
| 14 | 219 | 302.7 | 351 | 421.85 | 463.7 | 507.15 |
| 14.5 | 223 | 309.15 | 359.05 | 432.3 | 475.7 | 520.8 |
| 15 | 227.05 | 315.6 | 367.1 | 442.75 | 487.85 | 534.55 |
| 15.5 | 229.45 | 320 | 37355 | 451.6 | 499.1 | 548.85 |
| 16 | 231.85 | 325.22 | 380 | 460.5 | 510.4 | 561.9 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16.5 | 235.8 | 331.8 | 388.05 | 470.95 | 522.4 | 575.2 |
| 17 | 239.9 | 338.5 | 396.1 | 481.4 | 534.55 | 589.3 |
| 17.5 | 243.9 | 344.4 | 404.15 | 491.85 | 546.6 | 602.6 |
| 18 | 247.95 | 351 | 412.2 | 502.35 | 558.7 | 616.65 |
| 18.5 | 251.95 | 357.45 | 420.25 | 512.8 | 570.7 | 630.3 |
| 19 | 256 | 363.9 | 428.3 | 523.25 | 582.85 | 644 |
| 19.5 | 260 | 370.3 | 436.35 | 533.7 | 594.9 | 657.7 |
| 20 | 264.05 | 376.75 | 444.4 | 544.2 | 607 | 671.4 |
| 20.5 | 268.2 | 383.1 | 452.35 | 554.5 | 620.5 | 684.4 |
| 21 | 272.2 | 395.95 | 460.4 | 564.95 | 632.5 | 698.1 |
| 21.5 | 276.25 | 408.8 | 468.45 | 575.4 | 644.65 | 711.7 |
| 22 | 280.2 | 421.65 | 476.5 | 585.85 | 656.7 | 725.45 |
| 22.5 | 284.3 | 434.5 | 484.55 | 594.7 | 668.8 | 739.15 |
| 23 | 288.3 | 447.35 | 492.6 | 605.2 | 680.8 | 752.85 |
| 23.5 | 292.35 | 460.2 | 500.65 | 615.65 | 692.95 | 766.5 |
| 24 | 296.3 | 473 | 508.7 | 626.1 | 705 | 780.2 |
| 24.5 | 300.4 | 485.9 | 510.75 | 636.55 | 717.1 | 793.9 |
| 25 | 304.45 | 498.75 | 524.8 | 647 | 729.1 | 807.5 |
| 25.5 | 308.45 | 511.6 | 532.85 | 657.5 | 741.25 | 821.2 |
| 26 | 312.45 | 524.45 | 540.9 | 667.9 | 753.3 | 834.95 |
| 26.5 | 316.5 | 537.3 | 548.95 | 678.35 | 765.4 | 848.95 |
| 27 | 320.5 | 550.15 | 557 | 688.8 | 777.45 | 862.3 |
| 27.5 | 324.55 | 563 | 565.05 | 699.25 | 789.55 | 876 |
| 28 | 328.5 | 575.85 | 573.1 | 709.7 | 801.6 | 889.7 |
| 28.5 | 332.6 | 588.7 | 581.15 | 720.2 | 813.7 | 903.4 |
| 29 | 336.6 | 601.55 | 589.2 | 730.67 | 825.7 | 917 |
| 29.5 | 340.65 | 614.4 | 597.25 | 741.15 | 837.85 | 930.7 |
| 30 | 344.65 | 627.25 | 605.3 | 751.6 | 849.9 | 944.4 |
| 30.5 | 348.7 | 640.1 | 613.35 | 762.1 | 862.2 | 958.15 |
| 31 | 352.7 | 652.95 | 619.8 | 733.7 | 875.4 | 972.55 |
| 1 | დაზღვეულ ამანათზე დამატებით აიღება სადაზღვევო პრემიის | | | 10% | | |

ტ ა რ ი ფ ე ბ ი

დანართი 6

## საქართველოდან საზღვარგარეთის ქვეყნებში წერილობითი კორესპოდენციის გადაგზავნაზე ზონების მიხედვით (ლარი, დღგ ჩათვლით)

### I ზონა

| № | გზავნილის სახეობა | შტრიხკოდი | საბაჟო დეკლარაცია | 0,020 | 0,021-0,100 | 0,101-0,250 | 0,251-0,500 | 0,501-1001 | 1001-1500 | 1501-2000 | 2001-2500 | 2501-3000 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | |
| 1 | წერილი უბრალო | | | 4,90 | 9,70 | 15,30 | 24,70 | 33,90 | 39,40 | 44.9 | 50,40 | 55,90 |
| 2 | საფოსტო ბარათი | | | 3 ლარი | | | | | | | | |
| 3 | წერილი შეკვეთილი | RR | CN22 | 8,90 | 13,70 | 19,40 | 28,70 | 37,90 | 48,30 | 53,30 | 58,80 | 64.3 |
| 4 | წერილი ფასიანი | VV | CN2/23 | 9,70 +10% | 14,50 +10% | 20,20 +10% | 29,50 +10% | 38,70 +10% | 49,70 +10% | 54,70 +10% | 59,70 +10% | 69,70 +10% |
| 5 | მცირე პაკეტი | RR | CN2/23 | | 13,70 | 19,40 | 28,70 | 37,90 | 48,30 | 53,30 | 58,80 | 64.30 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | | | ყოველ სრულ და არასრულ კილოგრამზე დამატებით (უბრალო +5 ლ, შეკვეთილი +7ლ) | | | | | | | | |
| 6 | M ტომარა შეკვეთილი 1 კგ | 1 | CN22 | 29 (7+15+7) | | | | | | | | |
| 7 | M ტომარა უბრალო 1კგ | 1 | CN22 | 27 (5+15+7) | | | | | | | | |

ტარიფი მოცემული ლარებში დღგ ჩათვლით

კორესპონდენციის მაქსიმალური წონა განისაზრვრება 5 კგ-მდე, ურლვევი კორესპონდენციის შემთხვევაში (წიგნი, სასამართლო წარმოების საქმე, ბრაილის შრიფტი,) 3 კგ-ზე ზევით კორესპონდენციის ტარიფი განისაზღვრება ყოველ დამატებით სრულ და არასრულ 0,500 კგ-ს დამატებული 5 ლარი.

## II ზონა

| № | გზავნილის სახეობა | შტრიხკოდი | საბაჟო დეკლარაცია | 0,020 | 0,021-0,100 | 0,101-0,250 | 0,251-0,500 | 0,501-1001 | 1001-1500 | 1501-2000 | 2001-2500 | 2501-3000 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | |
| 1 | წერილი უბრალო | | | 6,50 | 13,20 | 19,70 | 33,50 | 41,90 | 55,60 | 60,90 | 65,90 | 70,90 |
| 2 | საფოსტო ბარათი | | | 4 ლარი | | | | | | | | |
| 3 | წერილი შეკვეთილი | RR | CN22 | 10,50 | 17,30 | 23,70 | 37,60 | 45,90 | 59,90 | 65,90 | 69,90 | 74,90 |
| 4 | წერილი ფასიანი | VV | CN2/23 | 11,30+10% | 18,10+10% | 24,50 +10% | 38,40 +10% | 46,70 +10% | 64,10 +10% | 69,70 +10% | 74,70 +10% | 79,70+10% |
| 5 | მცირე პაკეტი | RR | CN2/23 | | 17,30 | 23,70 | 37,60 | 45,90 | 59,90 | 65,90 | 69,90 | 74,90 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | | | ყოველ სრულ და არასრულ კილოგრამზე დამატებით (უბრალო +5 ლ, შეკვეთილი +7ლ) | | | | | | | | |
| 6 | M ტომარა შეკვეთილი 1 კგ | 1 | CN22 | 29 (7+15+7) | | | | | | | | |
| 7 | M ტომარა უბრალო 1კგ | 1 | CN22 | 27 (5+15+7) | | | | | | | | |

ტარიფი მოცემული ლარებში დღგ ჩათვლით

კორესპონდენციის მაქსიმალური წონა განისაზრვრება 5 კგ-მდე, ურღვევი კორესპონდენციის შემთხვევაში (წიგნი, სასამართლო წარმოების საქმე, ბრაილის შრიფტი,) 3 კგ-ზე ზევით კორესპონდენციის ტარიფი განისაზღვრება ყოველ დამატებით სრულ და არასრულ 0,500 კგ-ს დამატებული 5 ლარი.

## III ზონა

| № | გზავნილის სახეობა | შტრიხკოდი | საბაჟო დეკლარაცია | 0,020 | 0,021-0,100 | 0,101-0,250 | 0,251-0,500 | 0,501-1001 | 1001-1500 | 1501-2000 | 2001-2500 | 2501-3000 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წერილი უბრალო | | | 7,10 | 14,20 | 21,60 | 35,50 | 44,30 | 59,60 | 64.9 | 70,40 | 75,90 |
| 2 | საფოსტო ბარათი | | | 4,40 ლარი | | | | | | | | |
| 3 | წერილი შეკვეთილი | RR | CN22 | 11,10 | 18,20 | 25,60 | 39,50 | 48,30 | 63,60 | 69,90 | 74,90 | 80,20 |
| 4 | წერილი ფასიანი | VV | CN2/23 | 12,00 +10% | 19,00 +10% | 26,40 +10% | 40,30 +10% | 49,10 +10% | 64,40 +10% | 73,70 +10% | 79,70 +10% | 88,70 +10% |
| 5 | მცირე პაკეტი | RR | CN2/23 | | 18,20 | 25,60 | 39,50 | 48,30 | 63,60 | 69,90 | 74,90 | 80,20 |
| | | | | ყოველ სრულ და არასრულ კილოგრამზე დამატებით (უბრალო +5 ლ, შეკვეთილი +7ლ) | | | | | | | | |
| 6 | M ტომარა შეკვეთილი 1 კგ | 1 | CN22 | 29 (7+15+7) | | | | | | | | |
| 7 | M ტომარა უბრალო 1კგ | 1 | CN22 | 27 (5+15+7) | | | | | | | | |

ტარიფი მოცემული ლარებში დღგ ჩათვლით

კორესპონდენციის მაქსიმალური წონა განისაზღვრება 5 კგ-მდე, ურღვევი კორესპონდენციის შემთხვევაში (წიგნი, სასამართლო წარმოების საქმე, ბრაილის შრიფტი,) 3 კგ-ზე ზევით კორესპონდენციის ტარიფი განისაზღვრება ყოველ დამატებით სრულ და არასრულ 0,500 კგ-ს დამატებული 5 ლარი.

## IV ზონა

| № | გზავნილის სახეობა | შტრიხკოდი | საბაჟო დეკლარაცია | 0,020 | 0,021-0,100 | 0,101-0,250 | 0,251-0,500 | 0,501-1001 | 1001-1500 | 1501-2000 | 2001-2500 | 2501-3000 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | |
| 1 | წერილი უბრალო | | | 7,80 | 15,20 | 23,50 | 37,40 | 46,70 | 63,60 | 69,90 | 75,50 | 81,90 |
| 2 | საფოსტო ბარათი | | | 4,80 ლარი | | | | | | | | |
| 3 | წერილი შეკვეთილი | RR | CN22 | 11,80 | 19,20 | 27,60 | 41,40 | 50,80 | 67,70 | 73,30 | 79,80 | 87.3 |
| 4 | წერილი ფასიანი | VV | CN2/23 | 12,60<br>+10% | 20,00<br>+10% | 28,40<br>+10% | 41,90<br>+10% | 51,60<br>+10% | 68,50<br>+10% | 74,70<br>+10% | 82,70<br>+10% | 90,70<br>+10% |
| 5 | მცირე პაკეტი | RR | CN2/23 | | 19,20 | 27,60 | 41,40 | 50,80 | 67,70 | 73,30 | 79,80 | 87.3 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | | | ყოველ სრულ და არასრულ კილოგრამზე დამატებით (უბრალო +5 ლ, შეკვეთილი +7ლ) | | | | | | | | |
| 6 | M ტომარა შეკვეთილი 1კგ | 1 | CN22 | 29 (7+15+7) | | | | | | | | |
| 7 | M ტომარა უბრალო 1კგ | 1 | CN22 | 27 (5+15+7) | | | | | | | | |

ტარიფი მოცემული ლარებში დღგ ჩათვლით

კორესპონდენციის მაქსიმალური წონა განისაზღვრება 5 კგ-მდე, ურღვევი კორესპონდენციის შემთხვევაში (წიგნი, სასამართლო წარმოების საქმე, ბრაილის შრიფტი,) 3 კგ-ზე ზევით კორესპონდენციის ტარიფი განისაზღვრება ყოველ დამატებით სრულ და არასრულ 0,500 კგ-ს დამატებული 5 ლარი.

## V ზონა

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გზავნილის სახეობა | შტრიხკოდი | საბაჟო დეკლარაცია | 0,020 | 0,021-0,100 | 0,101-0,250 | 0,251-0.500 | 0,501-1001 | 1001-1500 | 1501-2000 | 2001-2500 | 2501-3000 |
| 1 | წერილი უბრალო | | | 8,10 | 15,70 | 24,50 | 38,40 | 49,10 | 67,70 | 77,00 | 85,10 | 92,30 |
| 2 | საფოსტო ბარათი | | | 5,00 ლარი | | | | | | | | |
| 3 | წერილი შეკვეთილი | RR | CN22 | 12,10 | 19,70 | 28,50 | 42,40 | 53,20 | 71,70 | 80,30 | 89,50 | 97,40 |
| 4 | წერილი ფასიანი | VV | CN2/23 | 12,90 +10% | 20,50 +10% | 29,70 +10% | 43,20+10% | 38,70 +10% | 54,00 +10% | 73,30 +10% | 79,70 +10% | 87,70 +10% |
| 5 | მცირე პაკეტი | RR | CN2/23 | | 19,70 | 28,50 | 42,40 | 53,20 | 71,70 | 80,30 | 89,50 | 97,40 |
| | | | | ყოველ სრულ და არასრულ კილოგრამზე დამატებით (უბრალო +5 ლ, შეკვეთილი +7ლ) | | | | | | | | |
| 6 | M ტომარა შეკვეთილი 1კგ | 1 | CN22 | | | 29 (7+15+7) | | | | | | |
| 7 | M ტომარა უბრალო 1კგ | 1 | CN22 | | | 27 (5+15+7) | | | | | | |

ტარიფი მოცემული ლარებში დღგ ჩათვლით

კორესპონდენციის მაქსიმალური წონა განისაზღვრება 5 კგ-მდე, ურღვევი კორესპონდენციის შემთხვევაში (წიგნი, სასამართლო წარმოების საქმე, ბრაილის შრიფტი,) 3 კგ-ზე ზევით კორესპონდენციის ტარიფი განისაზღვრება ყოველ დამატებით სრულ და არასრულ 0,500 კგ-ს დამატებული 5 ლარი

VI ზონა

| № | გზავნილის სახეობა | შტრიხკოდი | საბაჟო დეკლარაცია | 0,020 | 0,021-0,100 | 0.101-0,250 | 0,251-0,500 | 0.501-1001 | 1001-1500 | 1501-2000 | 2001-2500 | 2501-3000 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | |
| 1 | წერილი უბრალო | | | 8,40 | 16,10 | 25,50 | 39,30 | 51,60 | 71,70 | 78,70 | 86,90 | 94,70 |
| 2 | საფოსტო ბარათი | | | 5,2 ლარი | | | | | | | | |
| 3 | წერილი შეკვეთილი | RR | CN22 | [illegible] | 20,20 | 29,50 | 43,30 | 57,20 | 75,70 | 83,70 | 91,60 | 99,90 |
| 4 | წერილი ფასიანი | VV | CN2/23 | [illegible]<br>+10% | 21,00<br>+10% | 30,30<br>+10% | 44,20<br>+10% | 56,40<br>+10% | 76,50+10% | 82,70<br>+10% | 91,70<br>+10% | 101,70<br>+10% |
| 5 | მცირე პაკეტი | RR | CN2/23 | | 20,20 | 29,50 | 43,30 | 57,20 | 75,70 | 83,70 | 91,60 | 99,90 |
| | | | | | | | | | | | | |
| | | | | ყოველ სრულ და არასრულ კილოგრამზე დამატებით (უბრალო +5 ლ, შეკვეთილი +7ლ) | | | | | | | | |
| 6 | M ტომარა შეკვეთილი 1 კგ | 1 | CN22 | 29 (7+15+7) | | | | | | | | |
| 7 | M ტომარა უბრალო 1კგ | 1 | CN22 | 27 (5+15+7) | | | | | | | | |

ტარიფი მოცემული ლარებში დღგ ჩათვლით

კორესპონდენციის მაქსიმალური წონა განისაზრვრება 5 კგ-მდე, ურღვევი კორესპონდენციის შემთხვევაში (წიგნი, სასამართლო წარმოების საქმე, ბრაილის შრიფტი) 3 კგ-ზე ზევით კორესპონდენციის ტარიფი განისაზღვრება ყოველ დამატებით სრულ და არასრულ 0,500 კგ-ს დამატებული 5 ლარი.

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

ქვეყნების ჩამონათვალი ზონების მიხედვით დანართი7

| ქვეყანა | ზონა | ქვეყანა | ზონა |
|---|---|---|---|
| ავსტრალია | 5 | დანია | 2 |
| ავსტრია | 2 | დიდი ბრიტანეთი | 2 |
| ავღანეთი | 3 | დომინიკა | 5 |
| აზერბაიჯანი | 1 | დომინიკის რ-კა | 5 |
| ალბანეთი | 2 | ეგვიპტე | 3 |
| ალჟირი | 3 | ეთიოპია | 3 |
| ანგილია | 5 | ეკვადორი | 5 |
| ანგოლა | 4 | ეკვატორ. გვინეა | 5 |
| ანდორა | 2 | ერაყი | 4 |
| ანტიგუა და ბარბუდა | 5 | ერითრია | 4 |
| არაბ. გაერთ. ემირატები | 3 | ესპანეთი | 2 |
| არგენტინა | 5 | ესტონეთი | 2 |
| არუბა | 5 | ვანუატუ | 6 |
| ა.შ.შ | 4 | ვატიკანი | 2 |
| ახალი ზელანდია | 6 | ვენესუელა | 5 |
| ახალი კალედონია | 6 | ვიეტნამი | 4 |
| ბანგლადეში | 3 | ზამბია | 4 |
| ბარბადოსი | 5 | ზიმბაბვე | 5 |
| ბაჰრეინი | 3 | თურქეთი | 1 |
| ბაჰამის კ-ები | 6 | თურქმენეთი | 2 |
| ბელგია | 2 | იამაიკა | 5 |
| ბელიზი | 6 | იაპონია | 4 |
| ბელორუსია | 2 | იემენი | 3 |
| ბენინი | 4 | ინდოეთი | 3 |
| ბერმუდის კ-ები | 6 | ინდონეზია | 5 |
| ბოლივია | 5 | იორდანია | 3 |
| ბოსნია ჰერცოგოვინა | 2 | ირანი | 3 |
| ბოცვანა | 5 | ირლანდია | 2 |
| ბრაზილია | 5 | ისლანდია | 2 |
| ბრუნეი | 5 | ისრაელი | 2 |
| ბულგარეთი | 2 | იტალია | 2 |
| ბურკინა ფასო | 4 | კაბო-ვერდეს კ-ები | 6 |
| ბურუნდი | 4 | კაიმანის კ-ები | 6 |
| ბუტანი | 4 | კამბოჯა | 4 |
| გაბონი | 4 | კამერუნი | 4 |
| გაიანა | 5 | კანარის კ-ები | 6 |
| გამბია | 4 | კანადა | 4 |
| განა | 4 | კატარი | 3 |
| გერმანია | 2 | კენია | 4 |
| გვადალუპა | 5 | კვიპროსი | 2 |
| გვატემალი | 5 | კირიბატი | 6 |
| გვიანა | 5 | კოლუმბია | 5 |
| გვინეა | 4 | კონგო | 4 |
| გვინეა-ბისაუ | 4 | კორეა | 4 |
| გიბრალტარი | 3 | კორეის სახ. რ-კა | 4 |
| გრელანდია | 3 | კოსტა-რიკა | 5 |
| გრენადა | 5 | კოტ-დიუვარი | 4 |
| კუბა | 5 | რეიუნიონი | 5 |
| კუვეიტი | 3 | რუანდა | 4 |
| ლაოსი | 4 | რუმინეთი | 2 |
| ლატვია | 2 | რუსეთი | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| ლესოტო | 5 | საბერძნეთი | 2 |
| ლიბანი | 3 | სალვადორი | 6 |
| ლიბერია | 5 | სამოა | 6 |
| ლიბია | 4 | სამხ. აფრიკის რ-კა | 5 |
| ლიტვა | 2 | სან-მარინო | 2 |
| ლიხტენშტეინი | 2 | სან ტომე და პრინსიპი | 5 |
| ლუქსემბურგი | 2 | საუდის არაბეთი | 3 |
| მადაგასკარი | 5 | საფრანგეთი | 2 |
| მავრიკია | 5 | სეიშელის კ-ები | 6 |
| მავრიტანია | 4 | სენეგალი | 4 |
| მაკაო | 4 | სენტ-ვინსენტი | 6 |
| მაკედონია | 2 | სენტ-კრისტოფი | 6 |
| მალაიზია | 5 | სენტ-ლუსია | 6 |
| მალავი | 4 | სერბეთი | 2 |
| მალდივი | 4 | სეა სილენდი | 5 |
| მალი | 4 | სიერა ლეონე | 4 |
| მალტა | 2 | სინგაპური | 5 |
| მაროკო | 3 | სირია | 3 |
| მარტინიკა | 5 | სლოვაკეთი | 2 |
| მექსიკა | 5 | სლოვენია | 2 |
| მიანმა | 4 | სომალი | 4 |
| მოზამბიკა | 5 | სომხეთი | 1 |
| მოლდოვა | 2 | სოლომონის კ-ები | 6 |
| მონაკო | 2 | სუდანი | 3 |
| მონსერატი | 5 | სურინამი | 5 |
| მონღოლეთი | 3 | ტაილანდი | 4 |
| ნამიბია | 5 | ტაივანი | 4 |
| ნაურუ | 6 | ტანზანია | 4 |
| ნეპალი | 5 | ტაჯიკეთი | 2 |
| ნიგერი | 4 | ტიმორი | 5 |
| ნიგერია | 4 | ტოგო | 4 |
| ნიდერლანდები | 2 | ტონგა | 4 |
| ნიკარაგუა | 6 | ტრინიდადი და ტობაგო | 5 |
| ნორვეგია | 2 | ტუნისი | 3 |
| ომანი | 4 | უგანდა | 4 |
| პაკისტანი | 3 | უზბეკეთი | 2 |
| პანამა | 5 | უკრაინა | 1 |
| პაპუა ახ. გვინეა | 6 | უნგრეთი | 2 |
| პარაგვაი | 5 | ურუგვაი | 5 |
| პერუ | 5 | ფილიპინები | 5 |
| პოლონეთი | 2 | ფინეთი | 2 |
| პორტუგალია | 2 | ფიჯი | 6 |
| პუერტორიკო | 5 | ყაზახეთი | 2 |
| შვეიცარია | 2 | ყირგიზეთი | 2 |
| შრი-ლანკა | 4 | ცენტრ. აფრიკის რ-კა | 4 |
| შვედეთი | 2 | წმინდა ელენეს კ-ები | 6 |
| ჩადი | 4 | ხორვატია | 2 |
| ჩერნოგორია | 2 | ჯიბუტი | 4 |
| ჩილე | 5 | ჰაიტი | 5 |
| ჩინეთი | 4 | ჰონდურასი | 5 |
| ჩეხეთი | 2 | ჰონკონგი | 4 |